# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 353

„17" სექტემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი №8-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.17.010.035) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ესპრესო ჯორჯიასთვის" (ს/კ №205083416) იჯარით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $122^{1}$-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 25 აგვისტოს №34.19.1013 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი №8-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.10.17.010.035) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ესპრესო ჯორჯიასთვის" (ს/კ №205083416) იჯარით გადაცემაზე.

2. საიჯარო ქირის წლიური ოდენობა განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს ათი წლით.

4. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი